№ 49 მარტი 4, სამშაბათი 1886 მარტი 4, სამშაბათი **№ 49**

გაზეთი ღირს:

თვეზე	მან.	კ.	თვეზე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1 მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

ტფილისი, 3 მარტს.

საკვირაო ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ ერთი დიდ-მნიშვნელობიანი მოვლენა ჩვენის გლეხ-კაცობის ეკონომიურის ცხოვრებისა, სახელდობრ, ისა, რომ ჩვენის გლეხ-კაცობის აზრით, სოფელი სოფლისა და ამისგამო დრო გამოშვებით ხელა-ხლად საბლის დადება და ხელა-ხლად დაყოფა ადგილ-მამულებისა ერთმანეთში მეტ-ნაკლებობის გასათანასწორებლად ჩვეულებათ ყოფილა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მარტო სახასო გლეხ-კაცობაზედ. საბატონო, ან კერძო მოსაკუთრის მამულებზედ დასახლებული გლეხ-კაცობა კი ამ აზრს ვერ შეირჩენდა, რადგანაც მამულები აქ კერძო საკუთრებას შეადგენენ და მიწების მეტ-ნაკლებობა გლეხთა-შორის, რა თქმა უნდა, კერძო კაცის ნებაზედ იქნებოდა დამოკიდებული.

ეს აზრი სახასო გლეხ-კაცობისა უეჭველია ძველადგანვე სდებია სარჩულად მის ეკონომიურს ცხოვრებას და ამისაგამო არც დრო გამოშვებითი დაყოფა, ვითა პირდა-პირი შედეგი, ვითა ხორცი ამ აზრისა და მისი არსებითი ნიშანი არ უნდა იყოს ახლად შემოღებული, როგორც ზოგიერთნი ჰფიქრობენ. სჩანს ძველადგანვე ჰქონია ჩვენს გლეხ-კაცობას ეს დაყოფა ჩვეულებათ, აუამისოდ «სოფელი სოფლისა» უქმი, და უნიადაგო უმნიშვნელო და განყენებული აზრი იქნებოდა. განყენებულს, უქმს, უმნიშვნელო აზრს ნამეტნავად ამისთანაებში ყოველთვის საქმიანი გლეხ-კაცობა არ ეწყობა და არ იშვნევს. თუ გლეხ-კაცობა ცნობის-მოყვარე კაცს დღეს ვერ დაუსახელებს როდის მომხდარა სოფელში უკანასკნელი დაყოფა მამულებისა — ეგ მარტო იმასა ჰნიშნავს, რომ ერთის დაყოფვიდამ მეორემდე დიდი ვადა სცოდნიათ და არა ისეთი მოკლე, როგორც, მაგალითებრ, რუსეთშია, და ამიტომ დრო ნიშნობლივ ხსოვნაში არ დაჰრჩენიათ.

ხოლო არა გვგონია დღესაც იმისთანა სახასო სოფელი იპოვოს კაცმა სადმე ჩვენში, რომ მისთა მკვიდრთა ამბათ, მამა-პაპათაგან გადმონაცემსავით, არ ახსოვდეთ რომ ერთს დროს ოდესღაც მეტ-ნაკლებობის გასათანასწორებლად დაყოფა მამულებისა მომხდარა, თუმცა, აგი ვამბობთ, ნიშნობლივ კი თვითონ დროს ვერ დაგისახელებენ. ამაზედ სჯა და ლაპარაკი ჯერ-ჯერობით მაინც წინასწარია. ბ-ნ ტიხეევის თაოსნობით გაგზავნილნი კაცნი სახასო სოფლების მრავალ-კეცთა ვითარების ადგილობრივვე შესატყობრად და გამოსაკვლევად ბევრს უტყუარს საბუთს მოგვცემენ ამ საგნით შესახებაც და ამბობენ, ზოგთაგან ისეთის დაწერილებით მახვილ-გონიერებით, სიფრთხილით და გულ-მოდგინებით გამოძიებული ეს ვითარებაო, რომ დიდს განძს შეადგენს არამც თუ კანონმდებლობის აზრის გასამართავად და მისამართავად აქაურის გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრების განწყობისათვის არამედ თვითონ მეცნიერებისათვისაც. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ «კრებული» ამ გვარის ცნობებისა რაც შეიძლება მალე იქმნას დაბეჭდილი და საქვეყნოდ გამოცხადებული. კიდევ ხელა-ხლად ვიტყვით: ეს ცნობების შეკრების საქმე, ბ-ნ ტიხეევის თაოსნობით დაწყებული და ესე მალე განხორციელებული, პირველი და სამაგალითო საქმეა ჩვენში ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ დღემდე. დღემდე ყველა კეთილი მყოფელი მარტო თავისის ოთახიდამ ყოფილა კეთილ-მყოფელად. ცხოვრებას ეკონომიურს, თუ საზოგადოებრივს, ვერ განაგარგებს ვერავინ, თუ ჯერ თვით ცხოვრებაში არ ჩაიხედა, მისი ძაფები არ დაჰჩხრიკა, არ დაჰსინჯა და თუ ღრმად განვლილს, ცხოვრების აგებულებაში განწვდილს, მის მრავალ კეცობაში მიმალულს ავ-კარგსა საღის ჭკუისა და მეცნიერების შუქი ამ გზით არ მიაყენა. ამიტომაც ბ-ნი ტიხეევი, ჯერ, ვიდრე სახასო სოფლის განკარგების წესისა და რიგის შემოღებას შეუდგებოდა, ბედნიერი აზრი მოსვლია თვით ცხოვრების სული და სახე თვალ-წინ წარმოსდგომოდა უტყუარად. ტყუილად სწუნობენ ზოგნი ჩვენს ცხოვრებას და აბუჩად აგდებული აქვთ. ერი ორი ათასი წელიწადი სცხოვრებს ისტორიულად და ნუ თუ ჰგონია ვისმეს რომ მისი ყოფა-ცხოვრება შემთხვევის საქმეა და არა ისტორიულ მომჭირნეობისა, ჭირნახულობისი და გამონაცადისა. თუ ესეა, ნუ თუ ჰგონია ვისმეს, რომ მის ეკონომიურს თუ სხვა ფერს ყოფა-ცხოვრებას. ღრმად გაჭრილი არა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური საძირკველი, რომელზედაც ერს დუღაბ-კირად უხმარია თავისი გამოცდილება და ქვათ—თავისი სულიერი და ხორციელი მიდრეკილება.

ეს ჩვენზე უკეთ სცოდნია ბ-ნს ტიხეევს, რომ იქიდამ დაუწყვია, საიდამაც დასაწყებია.

ე.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ დღეს დარწმუნებით შევიტყვეთ, რომ როკის ხეობაზედ რკინის გზა გამოვა როსტოვო-ვლადიკავკაზის რკინის გზიდგან ჩვენს გზასთან შესაერთებელი. ეს გზა როკის ხეობისა უნდა გაკეთდესო უსათუოდ ხუთის წლის განმავლობაში. მამისონის უღელ-ტეხილზე კი შოსსეს გზა გადავაო.

⁂ აქამდე ქალაქში კარ-და-კარ დაჰქონდათ ნავთი და ისე ჰყიდდნენ.

ფელეტონი

ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში

სასამართლოს წარმოება

(შემდეგი *)

განჩინების დადგენის დროს მსაჯულები სოფლის განაპირ ადგილას სადმე მიდიან და, თუ ამას უშლის ავდარი და ზამთარი, მაშინ თავს იყრიან სოფლის რომელსამე უკაცურ სახლში, ისე რომ გარეშე კაცმა არ მოისმინოს იმათი მსჯელობა განაჩენის დადგენის დროს. აქ მსაჯულნი სთხოვენ მათ შორის უფრო სანდო პირს, მახვშის, რომ მან პირველმა წარმოსთქვას თავისი შეხედულება იმაზედ, თუ რამდენი უნდა მიესაჯოს მომჩივანს მოპასუხისაგან. მახვში ვალდებულია დალაგებით გაიმეოროს საქმის გარემოება, არსებითი მხარე საჩივარისა და პასუხისა, გაახსენოს დანარჩენ მსაჯულებს ის ჩვეულებითი მართლიერება, რომელიც ამ აღებულ საქმეს მიუდგება, უჩვენოს რამდენიმე მსგავსი შემთხვევა და მაგალითი წარსულის ცხოვრებიდამ და ბოლოს წარმოსთქვას თავისი განაჩენი, დასკვნა. მახვშის შემდეგ წინადადება მიეცემოდა ხნით უფროსს. ეს თავის შეხედულებას და განაჩენს წარმოსთქმიდა და ასე მორიგად თვითოეული ცალკცალკე თავისას იტყოდა. ბოლოს ყველანი ერთს დასკვნამდის მიდიოდნენ. ამ დროს ჰაზრების შეუთანხმებლობა მათ შორის ძნელად თუ ოდესმე მოხდებოდა, რადგან ყოველმა მსაჯულმა კარგად იცოდა, თუ რომელი დანაშაული რამდენს გასჭრიდა. მაგალითად: ვსთქვათ, ესავე უჩივის ბაბის, რომ უკანასკნელმა იგი დასჭრა ხელში და ხელი დაუშავდა. ყოველმა მსაჯულმა იცის, რომ თუ კაცს ასო რომელიმე ჭრილობისგან დაუშავდა, კანონით უნდა მიესაჯოს «სისხლის» («წორ») ნახევარი; ამას ლაპარაკი არ უნდა. მაგრამ, ვთქოთ, ბაბისაც აქვს თვისის მხრით დიაღ პატივ-სადები მიზეზები, — აი თუნდა ეს, რომ დაჭრამდის, გინდა დაჭრის შემდეგ ესავემა ბაბის გაუტეხა სახელი, რომელიც ჰსჭრის 12 ასიშს (ასიში უდრის ექვსს მანათს), ესე იგი სულ 72 მანათს. ეს უნდა გამოირიცხოს ესავის «სისხლის» საზღაურიდამ. შეიძლება სხვაც რამე უპატიურება აღმოჩნდეს ბაბისგან ესავის შესახებ. ამასაც, რასაკვირველია, ზედ შეუკეცენ და დანარჩენი იქმნება ის საზღაური, რომელიც ესავს ერგება ბაბისგან. ამაში მსაჯულები ადვილად თანხმდებიან...

ამ დროს ერთი მსაჯულთაგანი აიღებს პატარა ქვას, («ბაჩა ლილჯგინი») ამოსთხრის მიწას იქვე და შიგ იმ ქვას ჩაჰფლავს მსაჯულების თვალწინ. ეს ქვის ჩაფლვა სვანურს იურიდიულ წყობილებაში იმას ჰნიშნავს, რასაც სხვაგან წერილობითი განაჩენი და რასაც ვერავინ შესცვლის; ერთის სიტყვით საქმის გათავებას, საქმის დასასრულს. ქვის დაფლვას მეორე მნიშვნელობაცა აქვს, ე. ი. სანამ მსაჯულები ერთად არ გამოუცხადებენ მომჩივან-მოპასუხეს თავისს განჩინებას, მანამ არც ერთს მსაჯულს ცალკე არა ჰქონდა უფლება, რომ იგი ვისთვისმე გაემჟღავნებინა; ეს ქვის დაფლვა იყო ნიშანი საიდუმლოების შენახვისა.

თუ მომჩივანი ან მოპასუხე კერძოდ შეიტყობდა მსაჯულების განაჩენს, ასე ვთქვათ, საჯაროდ გამოცხადებამდის, უკმაყოფილო მხარეს ნება ჰქონდა არ შეეწყნარებინა გარიგება, თუ გადაწყვეტილება. აი ამიტომ ჰფრთხილობდნენ და ერიდებოდნენ მსაჯულნი განჩინების წინ-და-წინ გამჟღავნებას, თუმცა განჩინების დადგენის დროითგან გამოცხადებამდე მთელი თთვე, წელიწადიც გაივლიდა ხანდისხან.

აი, დაბოლოვდა განჩინების დადგენა. მსაჯულები მიდიან ადგილის ეკკლესიის კარზედ და იქიდამ ატყობინებენ მომჩივან-მოპასუხეს, რომ ესენი გამოცხადდნენ ერთგულობის ფიცის მისაღებად. მოდიან მომჩივან-მოპასუხე ჩვეულებრივ დაიარაღებულნი. პაპი, მსაჯულებისგან წინ-და-წინვე დაბარებული, ეკკლესიიდამ გამოასვენებს ხატს (არასოდეს ჯვარს). თუ პაპი არ მოხდა, მაშინ მის მაგიერობას ასრულებს თვით მომჩივანი. ერთის მხრით მსაჯულნი დგანან მწკრივად და ქუდ-მოხდილნი ეკკლესიის გალავანში ხატის წინაშე; მეორეს მხრით—იმავე რიგით ერთი მეორეზე დაშორებულნი მომჩივან-მოპასუხე თავიანთის სახლობით მხოლოდ მამაკაცებით კი. რამდენისამე წამის შემდეგ წარდგება წინ მომჩივანი და დაიწყებს: დიდება და მადლი შენ, ქრისტე მაცხოვარო! (ან რომელის წმინდანისაა ის ხატი) გთხოვ და გევედრები, ისმინე ჩემი ხვეწნა-ვედრება! უკეთუ ჩემ-მიერ ამორჩეულ და გაშვებულ მსაჯულთა სინიდისიერად შეტყობის შემდეგ საქმის გარემოებისა რასმეში დავეჩაგრო, არ მოინიჭოსთ ჩემთვის იგი, რასაც ჩვენი ჩვეულებითი და სწორი სამართალი ჰმანიჭებს, მე დამამდაბლეს და ჩემი მოპასუხე აღამაღლეს, მაშინ, ჰოი, მაღალო ღმერთო, რამდენიც ციდამ თოვლი და წვიმა მოდის, რამდენიც დედა-მიწაზე ბალახია, ზღვაში ქვიშა,—სანამ იმდენი ოქროს რქოსანი ხარი არ მოგიძღვნან, მანამ ამათ (მიათითებს მსაჯულებზე) ძესა და შთამომავალსა საშველს ნუ მისცემ, ამოსწყვიტე ესენი ძირიან-ბუდიანად; ავი სნეულების და ფათერაკის მეტს ნურას მოუვლენ თვითონ ამათ და ამათს ოჯახებს... ეს ერთი, დიდებულო ღმერთო! მეორე,—განაგრძობს იგივე მომჩივანი —«თუ ამ მსაჯულებს ისე არ დავუყენებივარ მე, როგორც თვითეული მათგანი დადგებოდა, (ე. ი. ის არ მიესაჯათ ჩემთვის, რასაც თვითეული მათგანი კანონით მოითხოვდა და იკმარებდა) თუ თავის სწორად და ტოლად არ დავუყენებივარ, — მაშინ ისმინე ღმერთო, სანამათ (მსაჯულებს) იესო ქრისტე თვისის თორმეტის მოციქულით მწირველად არ იშოვონ, სეფისკვერი იერუსალიმიდამ მოტანილის ფქვილისა არ გამოუცხონ და იქიდამვე მოტანილი ღვინო ზედაშეთ არ დასდვან,— მანამ ამათ (მსაჯულებს) ავი ზნის მეტს ნურას მოუვლენ, შეაჩვენე ისე რომ ამათი რძალი და ასული გველსა და ბაყაყს ჰშობდნენ»...

იტყვის თუ არა ამას, იქვე მიწაზე (ეკკლესიის გალავანში ბალახი ყველგან არის) ბალახს მოჰგლეჯს, გაჰფანტავს მაღლა ჰაერში და დადგება თავის ადგილას.

ახლა წამოდგება წინ მოპასუხე; ერთს ხელს ხატისკენ გაიწვდის, მეორეს მსაჯულებისკენ და იტყვის:

«მაღალო ღმერთო! სწორი სამართლის მომავლინებელი შენა ხარ ქვეყანაზე,—თუ მსაჯულთ გარეშე წესრიგის მოთხოვნილებისა რაიმე მიუსაჯავთ ჩემგნით მომჩივნისათვის, მაშინ დასწყევლე ისინი ასე და ასე... (გაიმეორებს მომჩივნის წყევლას და ნათქვამს ცოტა გადასხვაფერებით, როგორც მოუხდება.) ესეც რომ გაათავებს, ახლა მახვშიპ მსაჯულების თავს მდგომარე, მიუბრუნდება მომჩივან მოპასუხეს და იტყვის: «ესავ

---

*) იხ. «დროება», № 198, 1885 წ. და «ივერია» №№ 4 და 27, 1886 წ.

მცხოვრებთათვის ძალიან მოსახერხებელი იყო და ყველა უმადლოდა ამ ნავთის დამტარებელთ, მით უმეტესს, რომ იმ ფასადვე ჰყიდდენ, როგორც სხვა საწვრილმანოს დუქნებში. როგორც ამბობენ, კარ-და-კარ დატარება ნავთისა და გასყიდვა ალუკრძალავთო.

⁂ ჩვენა გვწერენ, 22 თებერვალს შეკრებილა ძველის სენაკის: ეკის, ნოსირის და გეჯეთის თავად-აზნაურობა მაზრის უფროსის ბ-ნის ბებურიშვილის განკარგულებით. ამათაც, როგორც აბაშის უბნის თავად-აზნაურობას, მიეცათ წინადადება, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის სახლის ასაშენებლად შესწირონ რამე. ამ ახლად მოწვეულთა თავად-აზნაურთა უფრო მომეტებული გულუხვობა გამოიჩინეს. მესამედმა კრებამ იქავ ხელ-და-ხელ ფული შემოიტანეს და დანარჩენებმა-კი ხელი მოაწერეს. ხვალ ნაქალაქევს მივემგზავრებითო, იწერება ჩვენი კორრესპონდენტი.

⁂ ერთი აველაბრის მცხოვრებელი გვაუწყებს. აველაბრის ქუჩა, სახელად ტუჩქოვის ქუჩა მეტად ტალახიანი და ბინძური არის, ისე რომ თავისუფალი სუნთქვა და გავლა-გამოვლა ამ ქუჩაზედ არაფერი სასიამოვნოაო. ამ უსუფთაობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ყოვლის სახლის ეზოდან ქუჩაში გამოდის პატარა თხრილები ნიაღვარის და გადასაქცევის წყლის გამოსვლითვის. ეხლა ქალაქის გამგეობა ითხოვს თურმე, რომ ეს თხრილები მოშალონ სახლის პატრონებმა, წინაალმდეგ შემთხვევაში ჯარიმას გადაგახდევინებთო. მართალია, სისუფთავე კარგია და ქალაქის გამგეობა უნდა სცდილობდეს სისუფთავესათვის, მაგრამ თუ ამ თხრილებს გააუქმებინებს, უთუოდ ქუჩის ქვეშ დიდი თალიანი თხრილი უნდა გაიყვანოს, რომ გზა მისცეს, როგორც გადასაქცევს, ისე წვიმის წყალს, თორემ შეიძლება წვიმის წყალი სახლებში შეუვარდეთ აველაბრელებს. ყველას ეხსომება, რომ ორის წლის წინად ერთს აველაბრელს ქვრივს ნიაღვარი შეუვარდა სახლში და კინაღამ მთელი სახლობა ამოახრჩო. კარგი იქნებოდა, რომ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და მინამ წვიმის ნიაღვარს გზას არ მისცემენ, თხრილები არ შეუკრან. აგრეთვე არ იქნებოდა ურიგო, იმავე სიწმიდისა და სიფაქიზისათვის ამ ქუჩაზე ქვა იქმნას დაფენილიო.

ნაკვესი

ერთი უხეირო მამის-შვილი შეხვდა თავის მეგობარს და შესჩივლა:

— არ გებრალები, მამაჩემი დამიბრმავდა.

— კაცო, ახლა გაბედნიერებულა, თუ გაბედნიერებულა: თავის შვილის უხეირობას თავისი თვალით მაინც ვეღარა ჰნახავსო.

ქართული თეატრი.

წარსულს კვირას ქართულმა დრამატიულმა დასმა გამართა უკანასკნელი წარმოდგენა. ჩვენ ვამბობთ უკანასკნელი იმიტომ, რომ დიდ-მარხვაში დრამატიული წარმოდგენები აკრძალულია. ჩვენ ვერას ვიტყვით, რამდენად სამართლიანი და საფუძვლიანია ეს განკარგულება, მაგრამ ეს კია, რომ ხსენებული აკრძალვა მეტად საგრძნობელია ყველა საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით ჩვენთვისა. სულაც რომ არა-იყოს-რა, კვირაში ორჯერ თავს ხომ ერთად იყრიდა ჩვენი განცალკევებული საზოგადოება. ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ცხადია აგრეთვე ის, რომ ჩვენი დრამატიული დასი სარჩოს მოკლებული იქნება ენკენისთვის დამლევამდე, ესე იგი, რვა თვის განმავლობაში.

უკანასკნელს საღამოზედ წარმოდგენილი იყო ოთხ-მოქმედებიანი კომედია «ახლანდელი სიყვარული» გადმოკეთებული ვ. აბაშიძისაგან და ვოდევილი «ბაიყუში» გადმოკეთებული ა. ცაგარლისაგან. სანამ პიესებზედ და მოთამაშეებზედ რასმე ვიტყოდეთ,—ვნახოთ რა არის, ან რას ჰნიშნავს «პიესის გადმოკეთება?» ჩვენის აზრით «პიესის გადმოკეთება» სრულიად არ უნდა იყოს შეწყნარებული და თუ რეპერტუარის განახლებისათვის, სხვა გზა არ არის, მაშინ ეს «გადმოკეთება» ჯეროვანი და ყოვლად რიგიანი მაინც უნდა იყვეს. ორში ერთი: უცხოთ ენაზედ დაწერილი პიესა ან სულ უნდა ითარგმნებოდეს, ან არა და მართლა გადმოკეთდეს. პირველ შემთხვევაში არაფერი არ უნდა შეიცვალოს გარდა მეტ-ნაკლებ წვრილმანებისა რომელთ შეკვეცას, თუ ჩამატებას ზოგჯერ თვით სცენა თხოულობს ხოლმე. იმიტომ—რომ აქ მთარგმნელს ორში ერთი აზრი უნდა ჰქონდეს: ან ხელოვნება პიესისა დაგვანახოს, ან მხატვრობა და სახე უცხოს ცხოვრებისა. აქ ყოველივე არსებითი ცვლილება ერთსაც ავნებს და მეორესაც. მეორე შემთხვევაში, ესე იგი, როცა გადმოკეთება პიესისა სურს, მაშინ იმისთანა პიესა უნდა აირჩიოს, რომლის არაკი (ფაბულა) ასე თუ ისე უხდება ჩვენს ცხოვრებასა. აქ ყველას ნება აქვს მთელის პიესის არაკი, აგებულება, წყობა, მოქმედების ერთმანეთზედ დამოკიდებულება სხვისა დაიჩემოს და ყოველივე დანარჩენი კი ჩვენს ცხოვრებას შეუფეროს და შეუსამოს, გადმოკეთება ამას ჰქვიან, ჩვენის აზრით. თორემ აიღებენ ხოლმე პრიჩეტნიკოვს დიაკვანიძით გადააქცევენ; მომქმედ პირებს სახელებს შეუცვლიან და დასწერენ: გადმოკეთებული პიესაა. სწორედ ამისთანად არის გადმოკეთებული «ახლანდელი სიყვარულიც». ამ პიესაში არავითარი საქციელი და სიტყვა არ შეესაბამება ჩვენს ცხოვრებას, მით უფრო უღონო და უგემური ეს პიესა, რომ ეკუთვნის იმ ჯურის მწერალს რუსეთისას, რომელიც თავის კალამს ხელოვნებისათვისკი არ ავარჯიშებს, ცხოვრების გამოსახატავად კი არ ამოქმედებს, არამედ მართლა შემწიკვლისათვის, რომელნიც ასე თუ ისე თვალში ვერ მოსდიან თვითონ მწერალს, როგორც კერძო კაცს. ამისთანა პიესებს რუსები «პასკვილს» ეძახიან და სამართლიანადაც. მაშ რა არის თუ არ ტალახიანი ცილი, თუ არ «პასკვილი». ახალგაზრდობის მიმართ ორ ფაკულტეტ დასრულებული სტუდენტი ნიკო ახირებულაძე? რაც კი რამ საძაგლია ახირებულს ავტორს ამ ახირებულაძისათვის არ დაუზოგავს: ენა-უბედიც ის არის, სულ-დაბალიც, სუსტიც და ყველა ამასთან ბრიყვიც. თვითო ოროლა გოლიათი ამ სახისა ჩვენცა გვყავს, მართალია, მაგრამ ამ თვითო ოროლას და ახალ-გაზრდობას შუა დიდი უშველებელი ზღვარი უდევთ. ახალ-გაზრდობის სასიხარულოდ და სასახელოდ.

ჩვენ ამ «გადაკეთებულს» პიესას პირველად დავესწარით იქით კვირას. ამ პიესაში ბ-ნ აბაშიძის თამაშობაზედ ბევრი ქება შეგვეტყო წინად, მაგრამ საქმით კი სულ სხვა გამოვიდა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ვ. აბაშიძე ცუდად ჰთამაშობდა, არა ჰთამაშობდა როგორც ყველა როლებს, ზოგან კი ნაკლებადაც, თუმცა, როგორც ეტყობოდა, როლი მისის ნიჭის შესაფერია და თუ ამ საღამოს უფრო სუსტი იყო — ამის მიზეზი ვ. აბაშიძეს ჩვენზედ კარგად ეცოდინება. ერთი შენიშვნა კიდევ. ისეთი თავით-ფეხამდე ჩინოვნიკი, როგორიც სასტიკაძეა, თავის უფროსის ჯამბარაშვილის წინაშე სერთუკის ყველა ღილებზედ შეკვრას არ დაივიწყებდა და აბაშიძეს კი ავიწყდებოდა. [illegible] ნიკო ახირებულაძის როლში ბ-ნ. - მესხიევი მეტად უმი იყო. თავადი ჯამბარაშვილის როლში როგორც წინათ, აგრეთვე თამაშობით ბ. მოხევე კარიკატურას ჰგავნდა და არა «დეპარტამენტის» გამგეს. არტისტმა მხედველობაში ხელოვნება უნდა იქონიოს და არა გალერეის ტაშის კვრა. ჩვეანად შეასრულეს თავიანთი როლი მ. საფაროვისამ ჯერ მგრძნობიარე მოსიყვარულე და მერე იმედ-გაცრუებული ნუცა. მ. მძინაროვისამ, მუდამ მძინარა და მთქნარა ნატალია საკმაოდ კარგა წარმოადგინა. მარდად, გამბედაობით და არა ჩვეულებრივად ერთობით ითამაშა ერთგული, ჩუა მოკლე გეგეს როლი ვ. მაქსიმიძემ. საზოგადოდ პიესამ მხიარულად ჩაიარა, თუმცა შესაძლო იყო გაეორკეცებინათ ეს მხიარულება.

ვოდევილი «ბაიყუში» ჩვეულებრივ ცოცხლად და ერთობ მხიარულად გაატარეს. ნ. ჯორჯაძემ სრულებით გამოუყენებული ნამდვილის ბაიყუშის ხასიათი დაგვიხატა. ერთი შენიშვნა კი უნდა გავუბედოთ. ბ-ნს ჯორჯაძეს ეტყობა ყურადღება არ მიუქცევია თავის წინდებისათვის, რომელიც სიჭუჭყის გამო ქალამანს დამსგავსებოდა. მეტადრე ძალიან შავი იყო ფეხის გული. ეს საპატიებელი არ არის. ქ. ანდრონიკოვისამ სიმღერა კარგადა სთქვა. ვ. აბაშიძე გასპარას როლს სახის გაუკეთებლად უგრიმოდ თამაშობდა, მაგრამ ნეტა რა სახის გაკეთება შეედრება მის ნამდვილ სახის საოცარს მოძრაობას. ეს არტისტი მარტო სახით ჰთამაშობს. ისე ოსტატურად ჰხმარობს სახეს და თვითონ სახეც ისე მისდევს: ისე ემორჩილება, რომ უსიტყვოდაც მარტო სახის მოძრაობით შეუძლიან ლაპარაკი. ქ. საფაროვა-აბაშიძისა თალიკოს როლში ხშირად გვინახავს, მაგრამ ამ საღამოს აშკარად დაგვარწმუნა რა ნაირი ზედმოქმედება შეუძლიან იქონიოს ნამდვილმა ბუნებრივმა და გრძნობიარე თამაშობამ. მ. სა-

---

და ბაბი! (ეთქოთ-მომჩივან-მოპასუხეთა სახელებია) ამ ხატის მადლმა, (ხატზე მიუთითებს) რაც კი შევიძელით, ყოველი ღონის-ძიება ვიხმარეთ, ნამდვილი და სწორი სამართალი გავეჩინა თქვენს შორის. ავსწონეთ საჩივარი, პასუხი, პასუხის პასუხი, ერთმანეთს დავუყენეთ, შევუწონეთ ჩვენის წეს-რიგის თანხმად და გადავსჭერით ისეთი სამართალი, რომელსაც თვითეული ჩვენ მსაჯულთაგანი დასჯერდებოდა, თუ რომ ჩვენ თქვენს ადგილას ვყოფილიყავით.»

დანარჩენი მსაჯულები ამაზედ ერთ ხმად წარმოსთქმიდნენ: «თანხმად ამ «გარცამისა» (გარდაცემა?) ჩვენცა ვფიცავთ, რომ რამდენადაც კი მივხვედით, ჭეშმარიტს სამართალზე გავიარეთ».

გათავებისას მახვში ეტყვის მომჩივან-მოპასუხეს ერთგულობის ფიცის მიღებას, ორნივე იქვე დაიფიცვენ. «ამის მადლმა (ხატზე ათითებს) რომ თუ შენ ჩემი ერთგული იქმნები, მეც ერთგული ვიქმნები და ვფიცავ, დღევანდელი საქმე არც მე და არც ჩემმა ძემ და მომავალმა არ გაგიხსენოს» იტყოდა მომჩივანი. ამას გაიმეორებდა მოპასუხეც და წავიდოდნენ თავთავის სახლებში. მსაჯულებიც იქვე ორად გაიყოფოდენ, ნახევარი ერთისას წავიდოდა და ნახევარი მეორისას განჩინების გამოსაცხადებლად.

რაკი გამოეცხადათ ორსავე მხარეს განჩინება, არც ერთს მხარეს არა ჰქონდა უფლება განჩინების უარყოფისა. ორივე ხმა-ამოუღებლივ ემორჩილებოდნენ. ამითი თავდებოდა მსაჯულ-მედიატორეთ თანამდებობა სვანურ იურიდიულ წესთ-წყობილებაში. რაც შეეხება აღმასრულებლობითს უფლებას ე. ი. მისჯილის გადახდევინებას და მომჩივანისათვის ჩაბარებას, ამას ჩვეულება არ ავალებდა მსაჯულ-მედიატორეთ. საზოგადოდ ძნელი საქმე განჩინების დადგენა იყო, თორემ მისჯილის გადახდის და მიღების უარს ვერავინ ვერ გაჰბედავდა. მოპასუხე მოკლეს დროში ჩააბარებდა მომჩივანს მისჯილს მახვშისა, ან რომელსამე ნათესავის ხელითა, და ამით დასრულდებოდა მოჩხუბართა ერთმანეთში მორიგება.

სვანურ იურიდიულ წესთ-წყობილებამ გარდა მორევებით მორიგებისა იცოდე კიდევ შემდეგი ფორმები: ა) სახლში შეძღოლა (ქორთე ლიქელვ) დაჩაგრულისა (потерпѣвшій) «ლუფხულებით», ბ) ამ გვარივე შეძღოლა «უ-ლუფხულოთ», გ) ნათესავებით და დ) ფიცით მორიგება. სამი უკანასკნელი ფორმა მორიგებისა იხმარებოდა მცირე დანაშაულობის დროს. სვანური «ლუფხვილ» ჰნიშნავს თითით (ფხულე) ამორჩეულს მოფიცარს, რომლის ამორჩევის უფლება ჰქონდა მხოლოდ დაჩაგრულს მხარეს.

ლუფხულების რიცხვი ერთიდამ მოკიდებული ოცამდე ადიოდა, თუმცა უკანასკნელი რიცხვი მარტო დიდ და მძიმე საქმეში იხმარებოდა. ლუფხულები ტოლობის, თანასწორობის ფიცს აძლევდნენ მხოლოდ დაჩაგრულს, მაგალითად იგინი ფიცით ეუბნებოდნენ დაჩაგრულს:—«ამა და ამ ხატის მადლმა, რომ ჩვენც ამას დავსჯერდებოდით (ნივთიერი გადასახადი), რასაც შენ გიჩენთო». ხოლო დამჩაგვრელს არასფერს ფიცს არ აძლევდნენ, მაშასადამე თუ ლუფხულები სინიდისს გადუდგებოდნენ, შეეძლოთ ჩვეულებრივზე მომეტებული გადასახადი დაედვათ მისთვის, თუმცა ეს არასოდეს არ მომხდარა, როგორც მარწმუნებენ მცოდნე და ამ საქმეში გამოცდილნი პირნი. თუ დამჩაგვრელი შეუთვლიდა ჩაგრულს ლუფხულებით შემირიგდიო, უკანასკნელს უარი არ ეთქმოდა თუ მაინცა და მაინც სამაგიეროს გადახდა გულში არ ედვა. ყოველს შემთხვევაში ლუფხულებით მორიგების დროსაც ორივეს მხრის თანხმობა იყო საჭირო. დამჩაგვრელი, დამნაშავე, მხოლოდ მაშინ იყაბულებდა ლუფხულებით გარიგებას, როდესაც სულ უმართლოდ, უმიზეზოდ მიაყენა დაჩაგრულს მძიმე შეურაცხყოფა, ენება და ჩადენილის დანაშაულის გასამართლებელი საბუთი არა ჰქონდა. ლუფხულებს დაჩაგრული დაასახელებდა, შოვნა მათი კი დამნაშავეს საქმე იყო. მორევებზე უარესი საშოვარი კიდევ ლუფხულები იყვნენ; უკანასკნელებს გასამრჯელოდ მორევებზე მეტი ეძლეოდათ დამნაშავისაგან, სახელდობრ, თითო ლუფხულს—თითო «აცსიშ-ი», რომელიც უდრის ექვსს მანათს, ან ამის სადირალს საქოლეს, ნივთს. ლუფხულებს ხარჯს აჭმევდა მარტო დამნაშავე. როდესაც იგინი ამორჩეული იყვნენ, მომჩივნის სარჩელს მოისმენდნენ და შემდეგ მახვშის წინამძღოლობით მივიდოდნენ დამნაშავის სახლში. ლუფხულების მისვლისათანავე დამნაშავე საოჯახო საცხოვრებელს სახლს უთმობდა მათ დროებით. ამას თხოულობდა ხალხის ჩვეულება. თუ ჰქონდა მეორე სახლი—იქ გადიხიზნებოდა, თუ არა და დროებით მეზობლისას შეაფარებდა თავსა. ოჯახიდამ გახიზვნის შემდეგ გაიმართებოდა მოციქულობა დამნაშავესა და ლუფხულებ შუა მახვშისა და გარეშე პირების საშუალებით. ლუფხულები მოციქულების პირით შეუთვლიდნენ დამნაშავეს: «შენ თითონ იცი, რა დანაშაულიც მიგიძღვის დაჩაგრულის წინაშე, ისიც იცი, თუ რა ერგება მას შენგან შენის დანაშაულობის მიხედვით, მიიღე ეს ყველა სახეში და შემოგვითვალე— შენის აზრით, რა და რამდენი უნდა მიუზღო დაჩაგრულს?» დამნაშავეს წინ და წინვე ჰქონდა მოაზრებული და მომზადებული მისაზღვევი ჯარიმა და მაშინვე შეუთვლიდა ლუფხულებს, რომ მე ესა და ეს მაქვს მომზადებული მომჩივნის მისაცემად (ყანა, ტყე, იარაღი და სხვა) და ამის მეტის გადახდა არც შემიძლიან და არც ერგებაო. მოციქულები ამას ლუფხულებს გადასცემდნენ; უკანასკნელნი მოისმენდნენ დამნაშავის შემონათვალს, და თუ, მათის აზრით, მეტი ერგებოდა დაჩაგრულს, ისევ დააბრუნებდნენ მოციქულებს დამნაშავესთან და შეუთვლიდნენ, რომ მას კიდევ რამე დაემატებინა. დამნაშავეც უსათუოდ რასმეს მოუმატებდა, და ეს ისევ ლუფხულებს გადაეცემოდა მოციქულების მიერ. ან ნაირად მიდიოდა ეს ცერემონია, სანამ გადაწყვეტით არ მორიგდებოდნენ დამნაშავე და ლუფხულები ერთმანეთში. ამის შემდეგ დამნაშავე თავის ოჯახში შევიდოდა, სადაც აქნობამდე ლუფხულები იყვნენ. ლუფხულები მომჩივანს შეატყობინებდნენ, რომ შენი საქმე გავათავეთ და ამა და ამ ეკკლესიის კარზე დაგვიცადეო, ჩვენც მოვალთ და დამნაშავესაც მოვიყვანთ, რომ ერთმანეთის ერთგულობის ფიცი დაგადებინოთო. მომჩივანი მიდის ეკკლესიის კარზედ. აქედამ ლუფხულებს დამნაშავე მიჰყავთ. მივიდენ ეკკლესიის კარს: პირველად ლუფხულები შეჰფიცებენ დაჩაგრულს ე. ი. მისცემენ ტოლობისა და თანასწორობის ფიცსა, იმ გვარად როგორც ზემოდ არის ნახსენები, და შემდეგ მომჩივანს მიაღებინებენ ერთგულობის ფიცსა დამნაშავის მიმართ. ამ დროს მახვში გამოუცხადებს მომჩივანს, თუ რამდენი მიესაჯა მას დამნაშავისაგან. მომჩივანი სახლში მიდის, მახვში და ლუფხულები დამნაშავისას, რომელმაც ხარჯი უნდა გადაუხადოს. მისჯილს დამნაშავე ან მაშინვე ჩააბარებდა ლუფხულებს, თუ ნივთი და საქონელი იყო, ანა და მოკლეს ხანში გარდასცემდა მახვშის ხელით მომჩივანს.

სვანი

(შემდეგი იქნება)

ფარაგ-აბაშიძისა ისეთის სიცხოვლით ასრულებდა უმანკო ჰაწია ქალს, რომ მთელს თეატრს თავი დაავიწყებინა და გგონებ, თვითონაც გატაცებულ იქმნა. ამაში თვითონ ბ-ნი არტისტ ქალი დაგვემოწმება, თუ მოიგონებს იმ ადგილს, როდესაც აღტაცების და სიცილის შეუმაგრებლობის გამო კარში გავარდა და მერე რომ შემოვიდა, ისევ ხელ-ახლად დაიწყო გაწყვეტილი სცენა. ეგ ისეთი ძვირფასი და საამური წუთები იყო, რომელიც მაყურებელს დიდხანს არ დაავიწყდება, რადგან მხოლოდ ასეთს თამაშობაშია ხელოვნების სული, მისი უმწვერვალესი აღმატება. ჩვენ მხოლოდ ერთს შევნიშნავთ პატივცემულ არტისტ-ქალს, და გვიკვირს კი თვითონ როგორ ვერ შეუნიშნავს. მაგალითებრ, სრულებით უადგილოა და ცოტა არ იყოს კადნიერიც არის ის ადგილი, როცა თალიკო ამბობს: «თუ პატარა ვარ, ასე ჰგონია რომ შვილები არ მეყოლებაო!» ეგ სიტყვები სწორედ ცივი წყალი იყო აღტაცებულ და თავ-დავიწყებულ თეატრისათვის. იქნება სადმე შესაწყნარებელი იყოს ამისთანა ლაპარაკი, მაგრამ მაგისთანებს ისეთი საჯარო ადგილი, როგორიც სცენაა, ჰთაკილობს და ესამუშება. ეგ დიდი შეცდომაა აქტორის მხრითაც და არ უნდა ეპატიოს თვით მ. საფ.-აბაშიძის ესტეტიურ გრძნობას. ვოდევილი ურეპეტიციოდ მიდიოდა და ამიტომ ბევრნი უფრო ექსპრომტებს ამბობდნენ.

ბოლოს მთელი დასი წარსდგა საზოგადოების წინაშე და ა. მესხიევმ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა: «მტერი არ გვასხართო, ქართული თეატრი ილუპებოდა და ჩვენ ყველანი ერთად გ. აბაშიძის და მ. მ. საფ.-აბაშიძის თაოსნობით ზეზედ წამოვაყენეთო, რაც კი ჩვენს შეძლებაში იყო, ბევრი ვიმეცადინეთო. თქვენც გმადლობთ, რომ ბევრი ჩვენი შეცდომები მოითმინეთო!» — შემდეგ ყველა არტისტები დუდუკით და ჩირაღდნებით გააცილეს და გამოეთხოვეს.

ვალიკო—ია

დამაკვირდი!

ბოროტზედ უსულელესი და სულელზედ უბოროტესი ქვეყანაზედ სხვა არ არის რა. (დებონვალი)

* *

სულელს ყოველთვის საკმაო ჭკუა აქვს, რომ ბოროტი საქმე ჩაიდინოს. (ბუასტი)

* *

მარტო იგი ჰსთვლის ბოროტად ყველას, ვინც თვითონ ბოროტია. (ბარლე)

* *

წყალმაც წაგიღოს. ისევ სჯობს
ცრუთ კაცთა ხიდთა გასლვასა,—
ჭაერს ქვეშ დგომა ბრძენთანა,
უგუნურთ სახლთა შესვლასა.
(არჩილ მეფე)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გორი 1 მარტს. თებერვლის 25-ს გორში მოვიდა ოლქის სასამართლო სისხლის საქმეების განსახილველად. მეორე დღეს, ე. ი. 26-ს განიხილეს ერთის ტუსაღის გვარად მთვარის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა 12—13 წლის ქალის მკვლელობა. ამ საქმეზედ იყო მოწვეული ოცამდის მოწმე. წესისაებრ ყველა მოწმე გაიყვანეს ცალკე ოთახში. თავ-მჯდომარემ ჰკითხა ტუსაღს: «დანაშაულად ჰრაცხ ამ საქმეში თავს თუ არაო». საცოდავმა და არა-გაცებისაგან განიორწყლებულმა იკისრა ბრალდებულება. ეგრეთვე წარმოსთქვა, რა მიზეზითაც შეემთხვა ეს მკვლელობა. სასამართლომ პროკურორის თანხმობით ყველა მოწმე ორის გარდა გაანთავისუფლა მოწმობისაგან. სწორედ ქვის გული უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ტუსაღის საცოდაობისათვის ეყურებინა, როდესაც ის ელაპარაკებოდა სასამართლოს და პროკურორს. ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რა მიზეზითაც შეემთხვა ეს მკვლელობა. საქმე აი რაში ყოფილა: ერთს ვიღაც პირს დაუკარგავს ცხენის საძუე. საძუის პატრონს ეჭვი მიუტანია ხსენებულს ტუსაღზედ და განუცხადებია ვისთვისაც ჯერ იყო. მოჩივარი იმ დროს ვერ დაუკმაყოფილებიათ. ბოლოს ხელ-მეორედ განუცხადებია საჩივარი მაშინვე მოუხდენიათ ფიცხელი განკარგულება მოჩივრის დასაკმაყოფილებლად და კიდეც დაუკმაყოფილებიათ ასე: ტუსაღისათვის წაურთმევიათ ორი ცხენი, ერთი ხარი და რვა ცხვარი.

როგორც აღმოჩნდა საქმიდამ, დილით ტუსაღისთვის წაურთმევიათ და იმავე საღამოზედ მკვლელობა მომხდარა.

როგორათაც ტუსაღის სიტყვებიდამ, ეგრეთვე საქმიდამაც ცხადად სჩანდა, რომ სიმწარისგან ვეღარა გაუგია-რა საცოდავს, და ჯავრისაგან გონება გამოცვლილს ეს საქმე შემთხვევია.

მსხვერპლი ყოფილა იმ პირის ბაძშვილი, რომლის სასარგებლოდაც წაურთმევიათ დამნაშავისათვის.

სასამართლომ გარდაუწყვიტა სამუდამოთ ციმბირში დასახლება. დამნაშავეც დათანხმდა ამ განაჩენზედ.

დამნაშავის ძმაც აქ დაესწრო, ბევრი იტირა და იცა საწყალმა თავში, მაგრამ სრულებით ვეღარა უშველა-რა თავის ძმას.

ალექსანდრე შ—ლოვი

სოფელი ჩხერი (შორაპნის მაზრა) 28 თებერვალი. სოფელი ჩხერი შეადგენს ხარაგაულის საზოგადოების ერთს სოფელს და მდებარეობს სტანცია ბელაგორთან. ეს სახელი ე. ი. «თეთრნიგლდენი» ანუ «თეთრი-მთები», დაარქვეს ამ სტანციას შემდეგ რკინის გზის გაყვანისა, თორემ მანამდინ კი ხარაგაული ერქვა. ეს სოფელი რაც შეიძლება, როგორც მდებარეობით ისე მოსავლითაც კარგად არის დაჯილდოებული ბუნებისაგან. მცხოვრებნი ძრიელ შრომის მოყვარულნი არიან და ამიტომ არც ისე დაცემულნი არიან ნივთიერად, როგორც ბევრი სხვა სოფლის მცხოვრებნი. აქაურების მოსავლის უმეტესს ნაწილს შეადგენს ღვინო, რომელიც აქ თითქმის კარგი დგება და კაი ფასშიაც ისყიდება. ამ სოფლის მცხოვრებთ ერთი ძრიელ ცუდი სენი სჭირსთ, რომელიც ყოველ სენზედ უფრო მავნე და მაზარალებელია ამ დროში ე. ი. არა აქვსთ ჯერეთ კიდევ გამჯდარი სწავლის სურვილი და მისადმი მიზიდულობა, თუმცა წინა წლების შედარებით ახლა გვარიან მაღლა აიწია ამ სურვილმა და თითქმის მომეტებულმა ნაწილმა მცხოვრებლებისამან იგრძნო სწავლა-განათლების საჭიროება. ასე რომ იმ ერთად-ერთს სასოფლო სკოლაში, რომელიც შეადგენს ორის საზოგადოების კუთვნილებას ხარაგაულისას და ლელვანისას, ირიცხება ამ ჟამად სამოც-და-ათზედ მომეტებული მოსწავლე შეგირდი, როდესაც წინა წლებში ძვირად თუ ორმოცამდინ მიაწევდა ხოლმე. თითქმის წელიწადზედ ცოტა მეტია, რაც ამ სკოლაში დაჰნიშნეს მასწავლებლად ერთი სოხის სემინარიელი მ. მ...ძე, რომელმაც სწორედ სანიმუშოდ მოჰკიდა ხელი თავის მოვალეობას და გულ-მოდგინეთ ასწავლის ყმაწვილებს. როგორც გავიგეთ მას განზრახვა აქვს სთხოვოს სახელმწიფო სამართველოს, მისცეს ხარაგაულის სკოლას, ნათხოვრად მაინც, ცოტა ადგილი იმ სახელმწიფო ადგილიდგან, რომელიც მდებარეობს ხარაგაულშივე სკოლის მახლობლად, რადგანაც მას სურს შეგირდები მიაჩვიოს მებაღეობასაც. ეს დიდად სასარგებლო იქმნება ჩვენის ხალხისათვის, რადგანაც მიწის მუშაობის ცოდნა თვით დიდ ნასწავლ კაცისათვისაც უსაჭიროესია ამ დროში, არა თუ სასოფლო სკოლებში ნასწავლებისათვის. ამისათვის ბატონი მ...ძე დიდის მადლობის ღირსია, თუ ამ თავის პატიოსან განზრახვას რაიმე უმნიშვნელო მიზეზით არ უსუსტა. იმაზედაც არა ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ მის ყოვლად პატიოსანს თხოვნას უარი უთხრას ზემოხსენებულმა სამართველომ, რადგანაც ამ ადგილის ამ რიგად გაცემა სახელმწიფო ხაზინას თუ არ სარგებლობას, ზარალს არას მისცემს. ამ საზოგადოებას, როგორც სხვა საზოგადოებასაც ხშირად ატყუებენ ხოლმე მატყუარა მკითხავ-ექიმნი. აქ მოჩვია და დადის თითქმის ყოველ კვირაში თავის სასწაულო ყუთით ერთი ქუთათური ექიმი, რომელიც ვითომ არჩენს უშვილო ქალებსა და კაცებს და ვითომ შეუძლიან შვილის ყოლება ამ გვარის ავად-მყოფებისათვის. სულ მთლად დაჰცარცვა აქაური უსწავლელი ხალხი და არავინ ყურადღებას არ აქცევს. თვით მღვდლებმაც კი მიიწვიეს საექიმოდ ამისთანა ექიმი. რა კაი დარიგებას უნდა ველოდეთ მათგან, როდესაც თვით იქცევიან უარეს უსმენელ სოფლის ხალხისა. ურიგო არ იქნება ადგილობრივმა პოლიციამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ მავნებელ ექიმის მოქმედებას.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სახელმწიფო ხარჯის გასავალში შეტანილია 116 ათასი მანეთი ციმბირის უნივერსიტეტის საჭიროებისათვის. ამის გამო გაზეთი ,,Сибирскій Вѣстникъ''-ი იმედეულობს, რომ მომავალ ზაფხულიდამ, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, ჩვენს მხარეს უნივერსიტეტი ეღირსებაო.

> იმედი გვაქვს აგრეთვე, ამბობს გაზეთი, რომ ჩქარა გამოცხადდება,— თუ რა პირობებით მიიღებიან სტუდენტები უნივერსიტეტში. ხმებია გავრცელებულიო, ვითომ ციმბირის უნივერსიტეტში შესვლის ნება გარდა კლასიკურის გიმნაზიისა, სემინარიის და რეალურის სასწავლებლის კურს-შესრულებულთაც ექნებათო და ეს ნება არამც თუ მარტო ციმბირის, არამედ მთელ რუსეთის სასწავლებლებს მიეცემათო. თუ ეს მართალია, მაშ მით უფრო საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გამოიცეს უნივერსიტეტის წესები, რომ მთელმა რუსეთმა დროზედ შეიგნოს და სახეში იქონიოსო.

ამის შემდეგ გაზეთი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, თუ რა მნიშვნელობა ექმნება მომავალ ციმბირის უნივერსიტეტს იქაურის ცხოვრებისათვის.

> უნივერსიტეტი, ამბობს გაზეთი, სიცოცხლეს მისცემს, აღამაღლებს აქაურს ცხოვრებას, დიდ გავლენას იქონიებს საზოგადოების მიმართულებაზე, შეხედულებაზე უკეთესს მიმართულებას მისცემს აქაურ ჩვეულებას და ზნეობას, საზოგადოებას თვით-შეგნების, თვით-გაცნობის სურვილს აღუძრავს. ცხადია, ყველა ეს უცბად, ერთს წამს არ მოხდება, მაგრამ უმაღლესს განათლების სასწავლებელი დასაწყისშივე იჩენს თავსა, ზედ-გავლენას იქონიებს საზოგადოებაზე და რაც მეტი დრო გაივლის, მით ხომ მისი გავლენა უფრო შესამჩნევი და ნაყოფიერი იქმნება. მეცნიერების ძალა დიდია და შეუმუსვრელიო.

ჩვენ როდისღა გვეღირსება ეს «დიდი და შეუმუსვრელი ძალა''?— ამაზედ ვერას ვიტყვით, ეს კი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მარტო ამიერ-და-იმიერ კავკასიის კლასიკური გიმნაზიები რომ ავიღოთ, ერთ უნივერსიტეტს ეყოფოდა,— იმოდენა სტუდენტობა ეყოლებოდა: და თუ სემინარიას და რეალურ სასწავლებლების მოწაფეთაც ბედი გაეხსნებოდათ და უნივერსიტეტის კარი გაეღებოდათ, მაშინ ხომ უნივერსიტეტში ტევა არ იქნებოდა.

* *

გაზ. ,,Саратовскій Дневникъ''-ის სიტყვით, ქალაქ სარატოვს შემდგარა ექიმთა საზოგადოება, რომელსაც თავის თავისათვის ასეთი სახელი უწოდებია: «ექიმთა საუბარი» (Бесѣды врачей). ერთს ამ საზოგადოების კრებაზედ ვიღაცა მოუსვენარ წევრს უკითხავს თავ-მჯდომარისთვის: რატომ სისრულეში არ არის მოყვანილი ჩვენი წინანდელის კრების გარდაწყვეტილება, რომ გარეშე პირთაც ნება აქვთ ჩვენ «საუბარზე» დაესწრონო. ამაზედ თავს-მჯდომარეს, დოქტორ ბუხოვცევს, ასეთი პასუხი მიუცია:

> ეს გარდაწყვეტილება, ჩემის აზრით, სრულებით არღვევს ჩვენის «საუბრის» წესდებულებასაო, რადგანაც ამ წესდებულების ძალით გარეშე პირთ სრულიად აღკრძალული აქვთ ჩვენ კრებებზე დაესწრონ. ჩემის მხრივ კიდევ იმასაც დავუმატებო, ბძანა მრისხანე თავს-მჯდომარემ, რომ თუ ჩვენს კრებებს სხვა გარეშე პირებთან გაზეთის რეპორტერებიც შემოეპარნენ, მაშინ ჩვენს საზოგადოებას სრულიად ბოლო მოეღებაო. ამიტომაო, დაასრულა თურმე თავს-მჯდომარემ, მანამ ჩვენი წესდებულება მოქმედობს, მე არავის ნებას არ მივცემ ჩვენი «საუბარი» საქვეყნოდ გარდააქციონო და თუ წესდებულებას შესცვლით, ეგ თქვენ იცითო.

როგორც ეტყობა ექიმბაშთა-ექიმბაშს იმის აზრით: კეკე-მალულობას არა სჯობნებია-რა.

* *

ჟურნალ ,,Стрекоза''-ში მოყვანილია კამათობა, სიტყვიერად მკილაობა, რომელიც ერთს სასამართლოში პროკურორს და მცველს მოსვლიათ.

> ერთს ვისლის ახლო-მახლო გუბერნიაში ვიღაც იქაური მკვიდრი პოლიაკი სისხლის სამართალში ყოფილა მიცემული. პროკურორს უთუოდ უნდოდა ბრალდებულის გამტყუვნება და რადგანაც დანაშაულობის პირ-და-პირი საბუთები საქმეში არა სჩანდა, პროკურორმა ამ გვარ საბუთს მიჰმართა: რომ ბრალდებული მართლა დამნაშავეაო, ეს სრულიად დასაჯერიაო, რადგანაც ეგ პოლიაკიაო, და პოლიაკების ერი კი, როგორც ყველამ ვიცითო, გულ-სწრაფისა, ანჩხლისა და ბრაზიანის ხასიათისანი არიანო. ამ სიტყვების დასამტკიცებლად პროკურორმა პოლშის მწერლების აზრი და სიტყვები მოიყვანა თურმე.
>
> დამცველმა უპასუხა, რომ მწერლების მოწმად მოყვანა ბრალდებულის დანაშაულობის დასამტკიცებლად ძალიან საფთხილოაო, ამ სახით პროკურორი [illegible] დაამტკიცებსო.
>
> —აი, მაგალითებრ სთქვა, დამცველმა, რუსებსაცა ჰყავთ მწერალი გოგოლი და იმის პოემაში «мертвыя души» ამ გვარი ადგილიც არისო: «ჩიჩიკოვი, პოემის გმირი, ესტუმრა ერთს მამულის პატრონს, სახელად საბაკევიჩს; ჩიჩიკოვი გუბერნიის მოხელეებს აქებდა, საბაკევიჩი კი, როგორც ეშმაკიანი კაცი, ყველას აძაგებდა. «რა გაჭშინურობო,—ამბობს საბაკევიჩი, ყველა ეგ თქვენი ნაქები მოხელეები სულ «მაშენიკები» არიანო, ერთი პროკურორიაო.... და ისიც ღორიაო».

უცხოეთი

ვიქტორ ჰიუგოს დაბადების დღის დიდება და დღესასწაულობა საფრანგეთში.

საფრანგეთში ვიქტორ ჰიუგოს დაბადების დღე ადიდა და იდღესასწაულა 14 თებერვალს საფრანგეთის ერთმა თეატრმა სახელად «*Comedie Franscais*» (კომედიე ფრანსეზ). დიდის პატივისცემით ადიდა ამ თეატრმა დიდის პოეტის ხსენება. ყველამ იცის, ვინც იყო ვიქტორ ჰიუგო, ეს მოციქული კაცთ-მოყვარეობისა და სათნოებისა. მისი გული მუდამ სიჭაბუკის ძლიერებით სძგერდა კაცთა-ნათესავის სიკეთისათვის, მისი ჩანგი უსამზღვრო და უშიშრო ზღვას წარმოადგენდა სასიკეთო აზრებისას, მთელი მისი არსება განუწყვეტელი ღაღადი იყო კაცობრიობის სიყვარულისათვის.

აი ამ გვარის კაცურის კაცის პატივისცემა იკისრა საფრანგეთის სახელმწიფო თეატრმა. საუკეთესო მოქმედებანი ამოარჩიეს ვიქტორ ჰიუგოს დრამებიდამ სათამაშებლად. ყველა გამოჩენილი არტისტი თეატრისა: გო, მუნესიული, დელონე, უფროსი კოკლენი, ქალი რეისენბერგი, ბარტე იღებდნენ მონაწილეობას. ყველა ამათ საუკეთესო როლები ჰქონდათ ამ საღამოს. მოლიერის სახლი, როგორც ეძახიან საფრანგეთში «*Comedie Francaise*»-ს თეატრს, მეტად პატარა გამოდგა იმ დღეს თეატრში დასწრების მსურველთათვის (სულ 1,400 ადგილია მარტო). ამ საქმისათვის სახელ-განთქმულმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა, იესო ქრისტეს ცხოვრების დამწერმა ერნესტ რენანმა დაწერა პროლოგი. ჯერ მარტო ეს იყო საკმარისი, რომ თეატრი გაევსებულიყო ხალხით. ბევრი დარჩა უნახველი ამ საოცარის საღამოსი, როცა საფრანგეთის სასცენო სიქადულნი ერთად იყვნენ თავ-მოყრილნი და თავის საუკეთესო როლებს თამაშობდნენ. იქნებ შემდეგ ვეღარც ნახონ ისინი ყველა ერთად, რადგანაც სწორედ წინა დღეს ყველამ სათეატრო დასიდამ გამოსვლა გადასწყვიტა. საქმე ის არის, რომ ეს თეატრი არა თუ მარტო შემწეობას იღებს სახელმწიფოსაგან, არამედ სრულიად სახელმწიფოს გამგეობაშია. განაგებს განათლების სამინისტრო; მაგრამ ისე განაგებს, რომ თითქმის სრულიად არ ერევა სათეატრო დასის საქმეში. სამინისტრო მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ საფრანგეთის ძველის გამოჩენილის მწერლების დრამები და ტრაგედიებიც ითამაშეთ ხოლმეო, ხოლო დასის მოთავე უფროსი კოკლენი რაღაც გაუგებარის სიძულვილით უცქერის თურმე ამ დრამებს. ბოლოს გამგეს თხოვნით არტისტებისაგან შემდგარმა კომიტეტმა გადასწყვიტა კიდეც, რომ ერთად ერთი არტისტკა ქალი გადასი-

კურ პიესების მოთამაშე სრულიად დაეთხოვნათ დასიდამ. ამაზედ შესდგა ერთი აყალ-მაყალი გაზეთებში. მთელი ორი კვირა სულ ამაზე სწერდნენ და ლაპარაკობდნენ გაზეთები. ბოლოს სამინისტრო ჩაერია საქმეში და არტისტკა ქალი ისევ დასტოვა. ეს იწყინა კომიტეტმაც, გამგემაც და მთელმა დასმა გადასწყვიტა დაანებოს თავი სახელმწიფო თეატრს.

* * *

მაგრამ ამ გარემოებამ არ შეუცვალა გუნება არტისტებს 14 თებერვალს და თითქო ჯიბრით, ისეთის გატაცებით თამაშობდნენ, რომ მაყურებელნი გაოცებულნი დარჩნენ. პირველად ითამაშეს პიესა «*La roi samois*». მეორე მოქმედებაში არტისტმა გოთ ხუმარას როლში ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ამბობს მნახველი ამ არტისტისა, გოთ რომ სთქვა: «შენ სტირი, როცა ჩემს ცრემლებს ჰხედავ, მაშინ რაღას იტყოდი, რომ დაგენახე, როცა ვიცინიო»! და ამ დროს მშვენიერ თვალ-ტანადის არტისტის აგზნულებამ მთლად თხთახი დაიწყო, რადგანაც არ უნდოდა ხმამაღლა ქვითინი მოერთოვო. მუნე-სიული ყველა პიესებში თამაშობდა და ყველგან ისე იცვლიდა ბუნებას როლების თანხმად, რომ ვერას გზით ვერ მიხვდებოდი, თუ ერთი და იგივე არტისტი იყოვო. ტყუილად არ ამბობდა ვიქტორ ჰიუგო, უკეთესი რუი-ბლაზი არ მინდა, როგორც მუნე-სიულიაო და ტურგენიევი კიდევ: საფრანგეთში მხოლოდ ერთი არტისტია—მუნე-სიულიო. მიუნე-სიულის თამაშობის აწერას არ მოვყვებიო;—ამიტომ რომ აწერის მაგიერად უთუოდ ქება-დიდებას მოვრთავო. ვიტყვი მხოლოდ, რომ სრულიად მეხუთე მოქმედებაში მიუნე-სიული ისეთი იყოვო, მისმა თამაშობამ იქამდე მიარწია მაყურებელი საზოგადოებაო, რომ ტაშის-ცემა შესწყვიტა და სასოებით სავსე გრძნობით ხმა დაბლა ამბობდა: ბარაქალა, ბარაქალაო! ერთს ახალ-გაზდა რუსის კრიტიკოსს საფრანგეთის ტრაგიკული არტისტები არ მოსწონდა და რამდენჯერაც ვეცადე, ვერ შევიყვანე თეატრში, რომ მიუნე-სიული მენახვებინაო. ერთხელ, როგორც იყო დავიყოლიე, როცა მიუნე-სიული მეფე ედიპის როლსა თამაშობდაო. ჯერ კრიტიკოსი იძახდა, რომ მიუნე-სიული გულ-ცივად თამაშობსო, მაგრამ, როცა თვალებ-დათხრილმა მეფემ მეცილებთან სცენა წარმოადგინა, შევხედე კრიტიკოსსაო: მისი სახე გაწითლებულიყო და დაკლაკნილიყო ტკივილისაგან; ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა თვალთაგანაო.

— ოჰ, საოცარი ყოფილა, საოცარი, ყელში ბუღდუნებდა ჩემი მეგობარიო.

* * *

მაგრამ ამ საღამოს თაფლი და შაქარი, როგორც გსთქვით, რენანის სცენა «*á propos*»-ი («ასლად») ყოფილა. ამ სცენაში მოქმედ პირებად არიან ჩრდილნი საფრანგეთის სახელ-განთქმულ მამულის-შვილთა: ვოლტერისა, დიდროსი, კორნელისა, რასინისა და სხვ. ფარდა აიხდება და შემოფთხრიალდება გეგლუტი ანგელოზი ქ. რეიხენბერგის სახით და აუწყებს მაყურებელთ, რომ მე ბრძანებითა მთავარ-ანგელოზისათა ყოველ-დღე მომაქვს ახალი ამბები ქვეყნიურის ცხოვრებიდამ აქაურებთანაო. მოქმედება სწარმოებს 1802 წ. მარენგოს ბრძოლის დროს, როცა შატობრიანმა დასწერა თავისი თხზულება «ატტალა». აი ეს ამბავი მოაქვს ანგელოზს პატარა ზარათით და სცამზე სდებს. შემოდიან ხელი-ხელ-გაყრილნი ვოლტერი და დიდრო. ვოლტერი აიღებს ზარათს, მწარის ღიმილით იღიმება და ისე მიდის, რომ ერთს სიტყვასაც არ ამბობს. შემოდიან კორნელი და რასინი. საიქოს მათი მღელვარე ბუნება დაწყნარებულა. ძრიელი სიყვარული უღვივით გულში საფრანგეთის მიმართ. მშვიდობიანად ლაპარაკობს ეს ორი გამოჩენილი ტრაგიკოსი საფრანგეთის ლიტერატურაზე და თითოეული მათგანი ამბობს, რა უფრო ჰსურს გულით ამ ლიტერატურისათვის. კორნელი ამბობს, რომ მე მსურს ისეთი ნაწერები, რომელნიც ქებასა და დიდებას დაადებდნენ საფრანგეთის გმირთა ქველობისასაო. მე მინდა, რომ მკვას მიეძლოს გრძნობა სინაზისა, სიკეთისა და სიყვარულისა კაცობრიობის მიმართო, ამბობს რასინი. შემდეგ შემოდიან ბუალო, ვოლტერი და დიდრო და ჩაერევიან ლაპარაკში. საფრანგეთს აწირვება პოეტი-ფილოსოფოსიო, რომლის ნაწერებს ზედ-მოქმედება ჰქონდეს კანონთა და ზნეთა გაკარგებაზედო, ამბობს ვოლტერი. დიდროს აზრით, ამას უნდა დაემატოს საზოგადოებრივი სამართლიანობაო. ბუალო გატაცებული ლაპარაკობს საუკუნო მშვენიერების გრძნობაზე. სწორედ ამ დროს კვლავ შემოფთხრიალდება კეთილი ანგელოზი და მოაქვს ქვეყნიური ცხოვრებიდამ სასიამოვნო ამბავი: თურმე საფრანგეთის მფარველს, მთავარ-ანგელოზს ყური დაუგდია, რაც ისურვეს დიდთა ჩრდილთა საფრანგეთისათა და გამოუგზავნა ქვეყანას გენიოსი, რომელიც ყველა იმათ ნიჭს, თავის ნაწერებით განახორციელებს, ერთის სიტყვით, დაიბადა ვიქტორ ჰიუგოვო სცენის. სიკრეში აიხდება მეორე ფარდა და მაყურებელნი ჰხედვენ პოეტის ლუსკუმას, რომელსაც გარს შემორტყმიან არტისტები ვიქტორ ჰიუგოს დრამების სხვადა-სხვა გმირთა ტანსაცმლით და დაფნის ფოთოლს აწყდიან 1802 წელს დაბადებულს კაცობრიობის უდიდესს მსოფლიო პოეტს.

* * *

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ. ბოლგარიის მთავარმა ბრძანება გასცა, რომ ჯარმა იარაღი აიყაროს, რადგან მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ასევე მოიქცა კაროლი სერბიისა. ბოლგარიის მთავარი დღეის იქით, ოსმალეთთან მორიგების ძალით, იქმნება მხოლოდ აღმოსავლეთ-რუმელიის გუბერნატორად ხუთის წლის ვადით. შემდეგ, დიდთა სახელმწიფოთა ნებაზე იქნება თუ არა, მასვე მიენდოს რუმელიის გუბერნატორობა, ამაზე ახალ მორიგებაში არაფერია მოხსენებული, აგრეთვე აღარაფერია მოხსენებული ჯარით უნდა დაეშველონ ოსმალეთი და ბოლგარია ერთმანეთს, თუ არა. როგორც ვიცით, მორიგება შეიცვალა ამ გვარად რუსეთის სურვილისამებრ. მორიგებაში მხოლოდ ერთი მუხლი დარჩა ძველი: ორგანებური სტატუტი რუმელიისა უნდა განიხილოს ოსმალთა და ბოლგართაგან შემდგარმა კომისიამ და რა ცვლილებასაც მოახდენს, ამის ნება რთვა დიდთა სახელმწიფოთა უნდა სთხოვოს.

ბოლგარიის მთავარს უნდოდა, რომ მორიგება სულ სხვა ნაირი ყოფილიყო, ესე იგი, ისეთი, რომ რუსეთს ძალა აღარა ჰქონოდა-რა ბოლგარიაზედაო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდაო. ალექსანდრეს ჰსურდა, ან თვით-მყოფელი მეფე ყოფილიყო, ან სულ უარი ეთქვა მეფობაზედაო, მაგრამ არც თვით-მყოფელი შეიქნა და არც მეფობაზედა ჰსთქვა უარიო.

* * *

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. აზიის ოსმალეთის ქალაქებში ხელის მოწერაა თურმე გამართული ოსმალოს ჯარის უკედ განწყობისა და შეიარაღებისათვის. ცალკე კომიტეტები დაარსებულა თითოეულ ქალაქში და ფულებს აგროვებს ყველა ქვეშევრდომთაგანაო. ქ. მუშში, სადაც 2,500 კომლია 10,000 მან. შეუგროვებიათ და ბაღდადში 15,000 მანათიო.

* * *

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. რადგან მორიგება ოსმალთა და ბოლგართა შორის ისე გათავდა, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობა არ დარღვეულა არაფერში, ეხლა საბერძნეთს სრულიად აღარავითარი საბუთი აღარა აქვს, ომი აუტეხოს ოსმალეთსაო. მეტი ღონე აღარ არის, საბერძნეთმა უნდა იარაღი აიყაროს და დამშვიდდეს, თუნდა მეორედაც დაუჯდეს ეს ამბავი დელიანისის სამინისტროსაო.

* * *

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ბატონო რედაქტორო!

«ვეფხვის ტყაოსნის» რედაქციისაგან მაქვს მინდობილი ასო მთავრულების და სხვა მორთულობის შედგენა და დახატვა, ამისთვის ხელში მაქვს ჩვენის პატივცემულის ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძისაგან რამდენიმე ფოტოგრაფიით და სხვაფრივ გადმოღებული ჩუქურთმის პირები ჩვენის შესანიშნავის მონასტრებიდგან. ამას გარდა კიდევ იოსებ დავითაშვილმა გადმომცა შარშან ცხენვალის ხეობიდან ჩამოტანილი რამდენიმე სხვა თავისგან გადმოღებულის წმინდის საბას მონასტრის ჩუქურთმებისა. დიდად დაავალებდნენ ჯერ ქართულ ხელოვნებას და მერმე ჩვენ, თუ კიდევ აქვსთ ან დავითაშვილს, ან სხვას ვისმეს და გადმოგვცემენ, რომ მით შეგვეძლოს ამორჩევა და დახატვა უკეთესის სახეებისა უკვდავის შოთა რუსთაველის «ვეფხვის-ტყაოსნის» მორთულობისათვის. ვთხოვ, ვისაც აქვთ ამ გვარი მხატვრობის კოპიოები, გარდასცენ «ივერიის» რედაქციას.

გრიგოლ ტატიშვილი

* * *

დეპეშა

1 მარტს

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ბუხარის ემირის დესპანი ასტანკულ ბეგი დღეს აქ მობძანდა და 5 კაცის ამალა მოჰყვა. დესპანს თან წამოუყვანია შვიდი თურქმენის ცხენი საჩუქრად.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სახელმწიფოები ცხარედ ეთანხმებიან პორტასაგან საბერძნეთთან მიწერილ ნოტას, რომლითაც პორტა იარაღის აყრასა თხოულობს, თუ საბერძნეთი ახირდება სახელმწიფოები მასთან ჯერ ყოველ-გვარს დიპლომატებურს კავშირს მოსპობენ და შემდეგ უფრო სასტიკ დონის-ძიებას იხმარებენ მის დასაყოლიებლად.

2 მარტს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გუშინ მათთმა იმპერატორებითთა უდიდებულესობათა მემკვიდრე ცესარევიჩისა, უავგუსტოეს ოჯახითურთ წმინდა საიდუმლო მიიღეს პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში, მოისმინეს პანაშვიდი განსვენებულის ხელმწიფისათვის და საღამოს გატჩინაში წაბრძანდნენ.

დღეს ხელმწიფე იმპერატორის დაბადებისა და ტახტზედ აბრძანების დღესასწაულის გამო სატახტო ქალაქი მოირთო ბაირაღებით; ისაკიის საკრებულო ტაძარში სამადლობელი პარაკლისი იქმნა გადახდილი; სასახლეში არავინ არ მიუღიათ.

ᲡᲝᲤᲘᲐ. მთავარმა ხელი მოაწერა მორიგების ხელ-შეკრულობას და დონისძიება იქმნა მიღებული, რომ ჯარი თოფ ქვეშ აღარ იყოს დაყენებული.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. კოროლმა ხელი მოაწერა მორიგების ხელ-შეკრულობას.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ. ოფიციალურად უარ-ჰყოფენ, ვითომ ცნობილი პროკლამაცია სერბიის ეხლანდელის მმართებლობის წინააღმდეგ ჩერნოგორიის მთავრის სიძემ პეტრე ყარა-გეორგიევიჩმა შეადგინაო.

ᲐᲗᲘᲜᲐ. რუსეთის კლიპერი «ლასტუნა» პირეაში მოვიდა. აქვე მოელიან ერთს რუსეთის გემსაო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. დღეს სრულიად რუსეთის იმპერატორის დღეობის გამო, ვილჰელმს დიდი სადილი ჰქონდაო.

3 მარტს

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. გუშინ, მორიგება როცა მოხდა კიდეც მასზედ, თუ რა გვარ დაიწეროს ერთობილი ოქმი, რომლითაც სახელმწიფონი ამტკიცებენ ოსმალთ-ბოლგართ მორიგებასა, უეცრად მოვიდა ამბავი, რომ მთავარი ალექსანდრე თხოულობს გენერალ-გუბერნატორობას აღმოსავლეთ რუმელიისას არა ხუთის წლის ვადით, როგორც უკვე გადაწყვეტილ იყო, არამედ გადა-დაუდებლად. დაიწყეს ლაპარაკი და სჯა იმ განზრახვით, რომ უკან წაადებინონ მთავარს ხსენებული თხოვნა.

* * *

«ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲤᲝᲡᲢᲐ

სტ. სამტრედი. კულაშის ნორმალურს სასწავლებელში. რასაც გვეკითხებით, ის გაზეთის სათაურშია გამოცხადებული.

* * *

ᲡᲐᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა — 23 თებერვალს, ალდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ᲛᲐᲠᲢᲘ 31 დღით არის

4 დღე სამშაბათი. ღირს. გერასიმესი, კათოლ. კაზიმირისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—8—45. ტფილისში მზე ამოდის 6—10. ჩადის 6—9 მთვარე ამოდის 1—47; ჩადის 3—1 ნღ.

5 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. კონონ, ონისიმესი, ქალწ. მოწამე ირაიდისი. კათ. გარდატანა ნაწილთა წმ. ვაცლავისა ლოტჰანგერსა, დღე სინანულისა და ლოცვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—27. ტფილისში მზე ამოდის 6—8; ჩადის 6—10. მთვარე ამოდის 3—6, ჩადის 3—53 ნღ.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. 42 მოწამეთა. კათ. ვიქტორისა. დედოფალმა ელენემ ჰპოვა ჯვარი პატიოსანი და ლურსმები იერუსალიმს, მე-IV საუკ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12——10. ტფილისში მზე ამოდის 6—7; ჩადის 6—11. მთვარე ამოდის 4—14; ჩადის 4—37 ნღ.

7 დღე პარასკევი წმ. შვიდთა მღვდელ-მოწამეთა: ვასილისი და სხვ. კათ. თომასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7—52. ტფილისში მზე ამოდის 6—5; ჩადის 6—12. მთვარე ამოდის 5—36; ჩადის 5—24 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. ჩა.	2½ ,
» » 2 »	2 ,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ,
მე-2 ხარისხისა	3 ,
მე-3 —	2½ ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,
2 —	7 ,
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 ,
ცხვრის ხორცი	9 ,

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔᲓ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

Дозволено цензурою Тифлисъ 3 Морта, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.